ქ.ქუთაისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში /1988 წ. 06.04.7/85–479/ დაშვებული ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე

ქ.ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე–2 შესახვევი N10 საცხოვრებელი სახლის N46 ბინაში მცხოვრები მოქალექე ირაკლი კაშიას განცხადება /2012 წ. 18.06 Nკ–4842/, რითაც ითხოვს ქ.ქუთაისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში /1988 წ. 06.04.7/85–479/ დაშვებული ტექნიკური შეცდომების გასწორებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომები ქ.ქუთაისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში /1988 წ. 06.04.7/85–479/ და ნაცვლად მითითებული მოქალაქეები „შვილი – მურადი გერმანეს ძე კაშია“ და „გერმანე მურადის ძე კაშია“ იკითხებოდეს „მეუღლე – მურადი მურმანის ძე კაშია“ და „შვილი – მურმანი მურადის ძე კაშია“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე